

## გაზეთ „ალიონს“ ისრაელიდან რობერტ ადარი ეხმიანება



მოგესალმებით ბატონო ნუგზარ და მივესალმები თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს, ჩვენს მოძმე გურულ ხალხს და სრულიად გურიას, დედამიწის ამ უმშვენიერესსა და ულამაზეს კუთხეს.

მადლიერებას გამოვხატავთ თქვენი გაზეთის პირველ გვერდზე, ებრაული თემის გაშუქებისა და გაზეთის ახალი ფორმით გამოშვების გამო. ისრაელის პატარა საქართველოს, მშობლიური საქართველოდან წმინდა მიწაზე ამოსულები დიდ სიამაყეს ვფლობთ, რომ გურული ხალხი ასე მძლავრად აფრიალებს, ჩვენი ორი ერის მეგობრობისა და ღირსების დროშას.

მიიღეთ ჩვენი დიდი მადლიერება და ლოცვები, ისრაელის კურთხელი წმინდა მიწიდან. ლეხაიმ!

**რობერტ ადარი,**
ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა გაერთიანება „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 24 (10460) 30 ოქტომბერი


## „ისრაელი არ უპირისპირდება არაბ მოსახლეობას, არამედ ებრძვის ტერორისტულ დაჯგუფებას“

*ლადო ჭელიძე, ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, პროფესორ გიზო ჭელიძის უფროსი ვაჟია. იგი არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ასევე არის ტელეჟურნალისტი. იგი ამჟამად ისრაელში მოღვაწეობს და მისი საქმიანობის შესახებ ვთხოვეთ ინტერვიუ:*



*— ხუთი წლის წინ მივიღე ორმაგი მოქალაქეობა (ბებია მყავდა დედის მხრიდან ებრაელი) და 2019 წელს გადმოვედი ისრაელში. როგორც ჟურნალისტი აქტიურად დავიწყე თანამშრომლ-ობა ისრაელის სახელმწიფო რადიო REKA-ს ქართულენოვან პროგრამასთან, სადაც მიმყავს სამეცნიერო-პოპულ-არული რუბრიკა — „იბერიიდან იუდეამდე“. ამ 2021 წლის ოქტომბერში მუშაობა დავიწყე იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ფოლკლორის კვლევის ცენტრში აფილირებულ მკვლევარად.*

**—რა სახის ურთიერთობა გაქვთ ქართულ-ებრაულ საზოგადოება „გულთა კავშირთან“ დამის პრეზიდენტ ბატონ რობერტ ადართან?**

*— მეხუთე წელია, რაც გავხდი სსფ „გულთა კავშირის“ წევრი, რომლის პრეზიდენტია ცნობილი საზოგადო მოღვაწე,*


▶▶▶ გვ—3


## „ძალიან მნიშვნელოვანია გამჭირვალობა, ჩართულობა, თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან“

*მდინარე ბახვისწყლის ხეობაში „ბახვი 1“ და „ბახვი 2“ ჰესის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. მომავალი წლიდან კი ჰესების მშენებლობა დაიწყება. ამისთვის ისინი 250 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ რეგიონში*



ათეული წლების მანძილზე, გაზეთი „ალიონი“ სხვა მედიასაშუალებებთან ერთად აშუქებს ეკოლოგიურ პრობლემებს რეგიონში. ეს არის მდინარეების სუფსის, ნატანების ხეობებში ინერტული მასალების ბარბაროსული მოპოვების, ქვის კარიერების, ოქროს საბადოების, ტყეების დაცვის, ქარსაფარი ზოლების განადგურების თემა და ა.შ.

არაერთხელ გავმხდარვართ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანების ჯგუფის თავდასხმის ობიექტი. მცირე გამონაკლისის გარდა, სხვადასხვა სამოქალაქო მოძრაობიდან ერთეულ შემთხვევაში თუ გვქონდა მხარდაჭერა.

რაოდენ გასაკვირია, რომ ადამიანების მცირე ჯგუფი, რომლებიც „ხალხის“ სახელით საუბრობს, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში „ბახვი 1 ჰესის“ და „ბახვი 2 ჰესის“ მშენებლობას აპროტესტებენ და ხელს რეგიონის მედიასაშუალებებისკენ იშვერენ და ამით ცდილობენ გარკვეული ზეწოლა განახორციელონ.

უნდა ითქვას, ჩვენი გარემოსდაცვით თემებზე მუშაობის პერიოდში, ერთადერთი პრეცედენტი გვაქვს, როცა კომპანია დასავლური მეთოდებით მუშაობს, მაქსიმუმს აკეთებენ მათი პროექტები იყოს გამჭირვალე, ჩართულობა ჰქონდეთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან და მათ შორის მედიასთან.

როგორც ოპონენტები აცხადებენ მათთვის ბრძოლის საგანი ყოფილა ის, რომ ამ ჰესების კასკადის უკან იმალება ქართული ხეობის გასხვისება ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამერიკულ კომპანიაზე .

კომპანიის წარმომადგენლებთან პირველი შეხვედრები, რომელშიც რამდენიმე არასამთავრობოც მონაწილეობდა, ცხარე კამათში მიმდინარეობდა. ჟურნალისტები, მესამე სექტორის წარმომადგენლები ძალიან ბევრ კითხვაზე ითხოვდნენ სპეციალისტებისაგან პასუხის გაცემას.

ჟურნალიტებს, სხვა დაინტერესებულ პირებს რამდენჯერმე შეხვდნენ მოწვეული ექსპერტები: ფრანგული საკონსულტაციო კომპანიის **ლპაგეს** დამფუძნებელი და მთავარი მკვლევარი **პიერ ბიდერმანი,** რომელმაც მიკრო და მაკროკლიმატის, კუმულაციური ზემოქმედების კვლევები და სხვა საკითხები წარმოადგინა, არც საგაზეთო ინტერვიუებზე უთქვამს უარი.

ასევე მნიშვნელოვანი გახლდათ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის **შ ლ—ის** ბრიტანელი მკვლევარის **ნიკოლა ფოლკსის** მიერ წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების კვლევა და ბიომრავალფეროვნების მართვის მიმართულებით, შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. კავკასიური სალამანდრის და წავის პოპულაციის კვლევები.

თუ როგორ აშენებდნენ ჰესებს, ჟურნალისტებს, არასამთავროებს ამის ნახვის საშუალებაც მოგცეს და მოვინახულეთ სვანეთში, მდინარე ლახამის ხეობაში და ჯავახეთში, ამ კომპანიის მიერ აგებული


▶▶▶ გვ—3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# ჩოხატაურში მიკრომეწარმეობის ხელშემწყობი საგრანტო პროგრამის გამარჯვებულებთან შეხვედრა გაიმართა



ჩოხატაურში კოლეჯ „ჰორიზონტში“ გურიის მხარეში მიკრომეწარმეობის ხელშემწყობი საგრანტო პროგრამის გამარჯვებულებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის მოადგილე **ირაკლი გაბრიაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

შეხვედრის ფარგლებში მეწარმეებს სააგენტოს მიმდინარე და სამომავლო პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ.

# „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“



ევროკავშირის პროექტის – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“ ფარგლებში, მერიისა და საკრებულოს ათი საჯარო მოხელე სასწავლო ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები გაეცნენ პოლონეთის გამოცდილებას ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების სფეროში; ეწვივნენ ევროპული სოლიდარობის ცენტრს, გარემოს დაცვისა და წყლის მენეჯმენტის რეგიონულ ფონდს, სხვადასხვა მუნიციპალიტეტს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, სადაც იყენებენ თანამედროვე ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს. მათ ასევე პოლონელ კოლეგებს გაუზიარეს ჩოხატაურის მიღწევები ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების სფეროში.

ვიზიტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობისა და „სასწავლო ტურები პოლონეთში“ – პროგრამების ფარგლებში.

# საფეხბურთო ტურნირი ლანჩხუთში



ლანჩხუთში, სასკოლო ოლიმპიადის ფარგლებში შეჯიბრი ჩატარდა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები იღებდნენ.

ტურნირში პირველი ადგილი ნიგოითის, მეორე – **ქალაქის მესამე,** ხოლო მესამე ადგილი ლესის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს.

გამარჯვებულებს მედლები და თასები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** გადასცეს.

# შპს „ვასაძის პურის“ პირველ სართულზე ხანძარი გაჩნდა

*ოზურგეთში, შპს „ვასაძის პურის“ პირველ სართულზე განთავსებულ მარკეტში ხანძარი გააჩნდა. შემთხვევა ღამით, დაახლოებით ღამის 3 საათზე მოხდა.*

შპს „ვასაძის პურის“ მენეჯერი, **ირაკლი სირაძე** ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ ხანძრის შედეგად მარკეტს დიდი ზარალი მიადგა.

*–ხანძარი შუაღამისას გაჩნდა. ამ დროს მეორე სართულზე პურის მცხობელთა ცვლა მუშაობს. სახანძრო-სამაშველო სამსახური გამოძახებიდან რამდენიმე წუთში მოვიდა. როგორც ირკვევა, ხანძარი მარკეტში ელექტროენერგიისაგან მაცივარს გაუჩნდა. იმდენად დიდი იყო დაკვამლიანება, რომ არა სახანძრო-მაშველების სათანადო აღჭურვილობა და პროფესიონალიზმი ზარალი გაცილებით მეტი იქნებოდა. მათ მოკლე დროში მოახდინეს ხანძრის კერის ლიკვიდაცია. საბედნიეროდ ხანძარს მეორე სართული გადაურჩა. ზარალი დიდია, ჯერ-ჯერობით ზუსტი ოდენობა არ ვიცით –გვითხრა ირაკლი სირაძემ.*



# სად შეგიძლიათ შეიძინოთ შეშა



**ალიონი**. ზამთარი მოახლოვდა. მოქალაქეები კითხულობენ, სად შეიძლება შეიძინონ ან დაამზადონ შეშა.

ამ თემაზე საქართველოს სატყეო სააგენტოს ოზურგეთის სამსახურს მივმართეთ.

*–ამჟამად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელმთაში, სატყეოს უბანზე გვაქვს დამზადებული შეშა. ერთი კუბური მეტრი წიფელას, რცხილას, თხმელას 60 სმ სიგრძის მორები 90 ლარი ღირს, ხოლო წიწვოვანი –85 ლარი; მოქალაქემ ფული უნდა გადაიხადოს სპეციალურ ანგარიშზე, ლიბერთი ბანკში . ამ ღირებულებაში არ შედის შეშის დატვირის და ტრანსპორტის გადატანის ღირებულება. ეს ცალკე მომსახურებაა. ოჯახზე 7 კუბური მეტრის მიყიდვაა გათვალისწინებული, მაღალ მთაში 15 კუბური მეტრის–გვითხრა უფროსმა მეტყევემ* **დარვინ კობერიძემ.**

მისივე თქმით, სოფელ გომში აქვთ გამოყოფილი ტყეკაფი, სადაც შესაძლებელია შეშის მოჭრა. ამ თემაზეც მოქალაქემ სატყეო სამსახურს უნდა მიმართოს.

# ლაზარე ჩხარტიშვილის წარმატება მსოფლიო ჩემპიონატზე



დამთავრდა, ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმ ელ-შეიკში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი 8,10 და 12 წლამდე ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის, რომელშიც ასაკის მიხედვით, საქართველოს ექვს წარმომადგენელთან ერთად, ოზურგეთელი 8 წლის, **ლაზარე ჩხარტიშვილი** ასპარეზობდა. იგი, 70 ქვეყნის 90 თანატოლთა შორის, 11 ტურში 6,5ქულით(!) საუკეთესო ოცეულში შევიდა. ლაზარემ 65-ზე მეტი თანატოლი მოიტოვა უკან, მათ შორის, მასზე ბევრად მაღალი რეიტინგის მქონე 20 ქვეყნის ჩემპიონები.. მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ მან ამ დიდ ფორუმში +182-ით გაამჯობესა თავისი რეტინგი, რითაც ბევრ 10 და 12წლის ასაკის მოჭადრაკეებსაც გაუსწრო. ზოგადად საქართველოს წარმომადგენელთა შედეგები წარმატებულად უნდა ჩაითვალოს , რამდენადაც საშუალოდ მათ ქულათა 60% აიღეს. კერძოდ 8 წლამდე გოგონებში სარა სალთხუციშვილმა – 7,5 (R +83); ნიკა წულაიამ(10წ)–5,5 (R +28,4); ლუკა ქუნთელიამ(12წ.)-7,0 (R +160);ბარბარე აშოთიამ (12წ.)-7,0 (R +7).

წელს ლაზარეს ძალზე დატვირთული, მაგრამ წარმატებული სპორტული სეზონი ჰქონდა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია. მას ალბათ დიდი ამბიციები ექნება წარმატებას მიაღწიოს ნოემბერ- დეკემბერში გაეგმილ ოზურგეთის მუნიციპალურ და გურიის რეგიონალურ ჩემპიონატებში.

წარმატებას ვუსურვებთ მას!

# „ისრაელი არ უპირისპირდება არაბ მოსახლეობას, არამედ ებრძვის ტერორისტულ დაჯგუფებას“



საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის წევრი, ბატონი რობერტ ადარი. ჩვენი საზოგადოებრივი გაერთიანება წარმატებით აგრძელებს მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული ტოლერანტული ურთიერთობების ტრადიციებს და ღირსეული წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნების ისრაელისა და საქართველოს თანამედროვე კავშირების განმტკიცებაში. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზაციის პრეზიდენტის როლი, რომელთანაც მჭიდრო კოლეგიალური და ახლო მეგობრული კონტაქტები მაქვს, როგორც ბიბლიური ღირსებების მქონე პიროვნებასთან.

**— როგორ დაიწყო ომი, როგორი სიტუაცია ჰქონდათ იქ მცხოვრებ ქართველებს?**

*— როგორც მოგეხსენებათ, საგანგებო მდგომარეობა 7 ოქტომბრის დილის შვიდი ნახევარზე დაიწყო. მე და ჩემი მეუღლე იერუსალიმში ქართველთა ისტორიული მემკვიდრეობის მივიწყებული ადგილების დათვალიერების მიზნით მოწყობილ საექსკურშიო ტურში მონაწილეობისათვის ვემზადებოდით, როცა აზაკა (სირენა) ჩაირთო და ღაზას სექტორიდან საჰაერო სარაკეთო შეტევა დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება. ისრაელელთა განუზომელი აღშფოთება და რისხვა გამოიწვია ქვეყნის სამხრეთში არაბი ტერორსიტების მიერ წარმოუდგენელი სისისასტიკით ჩადენილმა მკვლელობებმა და ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ ორგანიზებით განხორციელებულმა ადგილობრივი მოსახლეობისა და ახალგაზრდული მუსიკალური კონცერტის მონაწილეების საყოველთაო ჟლეტამ, რამაც ისრაელის თავდაცვის ძალების მხრიდან კანონზომიერი საპასუხო ზომების მიღება განაპირობა. მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ისრაელი არ უპირისპირდება არაბ მოსახლეობას, არამედ ებრძვის ტერორისტულ დაჯგუფებას, რასაც ქვეყნის მოქალაქეობის საყოველთაო მხარდაჭერა აქვს და ეს სავსებით გასაგებია.*

*ისრაელში მცხოვრები ქართველები — როგორც მოქალაქეები, ისე ემიგრანტები ქვეყნისათვის ამ მეტად დრამატულ სიტუაციაში სრულიად სოლიდარული არიან და მთლიანად იზიარებენ ისრ-აელის ხელისუფლებისა და მოსახლეობის საერთო სულისკვეთებას ტერორიზმთან საბოლოო გამარჯვების მოპოვების საქმეში.*

**— თქვენ ომის პერიოდში თბილისში კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოხვედით...**

— დიახ, მე კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებად ჩამოვედი, რომელშიც ასევე მონაწილეობას იღებდა ჩემი იერუსალიმელი დოქტორანტი სარა ნეშერი.

**— როგორია იქ მყოფი ქართველების მდგომარეობა ამჟამად?**

— აქ მცხოვრები ქართველების გარკვეულმა ნაწილმა დროებით დატოვა ქვეყანა,მაგრამ ბევრი მათგანი, მათ შორის ჩემი შვილი და რძალი, უკვე დაბრუნდა. რამდენიმე დღეში მე და ჩემი მეუღლეც დავბრუნდებით.

**— როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები?**

— აღნიშნული მოვლენები ერთმნიშვნელოვნად ტერორიზმის აღმოფხვრითა და ისრაელის გამარჯვებით დასრულდება. შექმნილ სიტუაციაში სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

**—ომის დასრულების შემდეგ თქვენ გააგრძელებთ ისრაელში მუშაობას?**

— რა თქმა უნდა, აუცლებლად. წინ მეტად დიდი და საგულისხმო გამოწვევებია.

# „ძალიან მნიშვნელოვანია გამჭირვალობა, ჩართულობა, თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან“

***მდინარე ბახვისწყლის ხეობაში „ბახვი 1“ და „ბახვი 2“ ჰესის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. მომავალი წლიდან კი ჰესების მშენებლობა დაიწყება.ამისთვის ისინი 250 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ რეგიონში***



ჰესები და გავეცანით მათ მიერ ამ რეგიონებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა თევზსავალები იყო, რომლებიც დასახელებულ რეგიონებში გამართულად მუშაობენ.

საზოგადოებაში არსებული კითხვები, ხომ არ აქვს საშიშროება ნისლის წარმოქმნას ბახმაროში, სავსებით ლოგიკური იყო იმ ფონზე, როცა წინა ხელისუფლების დროს სხვა კომპანიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მდინარე ბახვისწყლის ხეობის ზედა წელში საკმაოდ დიდი მოცულობის კაშხლის მშენებლობას ითვალისწინებდა.

ნისლი კოლხეთის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა და ეს არის მაღალი ტენიანობისა და ტემპერატურის ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი ნალექი, რომელიც ბახვისწყლის ხეობით შედის ბახმაროს ქვაბულში და იქ კონდენსირდება.

რამდენიმე დღის წინ რეგიონის ჟურნალისტების თხოვნით მოეწყო მედიატური, რომელმაც კიდევ ერთხელ რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვაზე მოგვცა პასუხი.

ამ თემაზე გაზეთ „ალიონს“ მშენებლობის მთავარი ინჟინერი **ანდრო ბრეგვაძე** ესაუბრა:

– „ბახვის 1“-ს (სიმძავრე 10,9 მეგავატი) სათავე კურორტ ბახმაროდან პირდაპირი ხაზით 3 კილომეტრის ქვემოთ, ზღვის დონიდან 1750 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. იგი მომავალში ბახმაროს რეკრიაციული ზონის გარეთ რჩება. თავდაპირველი პროექტმა, იმის გამო რომ მზის ჩასავალი მთიდან ხედში არ ჩამჯდარიყო, კორექტირება განიცადა და 100 მეტრით ქვემოთ ჩაიწია. შემცირდა სათავეს დაგუბების ფართობი და იგი 0,24 ჰა-ს შეადგენს, რაც ბუნებრივია, არანაირ გავლენას არ მოახდენს ნისლის წარმოქმნაზე.

უშუალოდ „ბახვი 1“ ჰესის შენობა ზღვის დონიდან 1350 მეტრს სიმაღლეზე აიგება. მას წყალი სათავე ნაგებობიდან სადაწნეო მილსადენით მიეწოდება.

რაც ჩვენ სვანეთში, მდინარე ლახამის ხეობაში ვნახეთ, ეს გახლავთ ჰესის შენობები მცირე მოცულობისაა და იგი თავისი არქიტექტურით ბუნებასთანაა შერწყმული.

„ბახვი 2 ა“-ს (სიმძლავრე 11,4 მეგავატი) სათავე (შეტბორვის ფართობი 0,19 ჰა) ზღვის დონიდან დაახლოებით 1350 მეტრზე იქნება, ხოლო თავად სადგური ზღვის დონიდან 1350 მეტრზე;

„ბახვი 2-ბ“-ს სათავე (სიმძლავრე 20,7 მეგავატი) სულ 0,09 ჰექტარი იქნება, ხოლო სადგური ზღვის დონიდან 502 მეტრ სიმაღლეზე განთავსდება.

რაც შეეხება დაბალი და მაღალი დაწნევის მილებს, ისინი მიწის ქვემოთ იქნება განთავსებული.

მედიატურის ფარგლებში მთისპირის თემის სოფელ უკანავადან მაქსიმალურად მოვინახულეთ მშენებლობის ადგილები. უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერმა **მიხეილ ნატროშვილმა** შესაბამის წესებს გაგვაცნო და მდინარის ხეობასაც დავათვალიერეთ.

კარგად მუშაობს „ბახვი 3“ ჰესის თევზსავალი და სათავე ნაგებობის ქვემოთ მდინარეში საკმაო რაოდენობის წყალი მიედინება.

ჯერ-ჯერობით სამშენებლო უბანზე 850 კუბურ მეტრამდე ხე-ტყეა მოჭრილი, რომელიც შესაბამისი დამუშავებით ოზურგეთის სატყეოს გადაეცა. შესაბამის ფართობს მშენებელი კომპანია კურორტ ბახმაროს მიმდებარედ გააშენებს.

დასრულების ეტაპზეა სამშენებლო კემპი, სადაც იქნება საცხოვრისები, ადმინისტრაციული ოფისი, სასაწყობო ფართი და სამედიცინო პუნქტი.

მშენებლობაზე 49 ადგილობრივი მცხოვრებია (ექსკავატორის მემანქანე, ტოპოგრაფიული გადაღება, მედროშეები) დასაქმებული, რომელთა საშუალო თვიური გამომუშავება ამ ეტაპზე 1500 ლარია.

„ბახვი 2“ ჰესის დირექტორის **გიორგი აბრამიშვილის** თქმით, ისინი მშენებლობის პარალელურად არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებენ რეგიონში. ერთ-ერთი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, სოფელ მთისპირის, ვანისქედის დასახლების სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებაა, რისთვისაც კომპანია 350 ათას ლარს დახარჯავს და 45 ოჯახს ხარისხიანი სასმელი წყლით მოამარაგებს.

გიორგი აბრამიშვილის თქმით, ისინი ევროპის წამყვანი ქვეყნების სტანდარტებით ხელმძღვანელობენ, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამჭირვალობა, ჩართულობა, თანამშრომლობენ ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორთან, გარემოს დამცველებთან, მედიასთან,ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა ჰესების მშენებლობის საუკეთესო პრაქტიკა დანერგონ რეგიონებში.

**ნუგზარ ასათიანი**

# მოისმენენ თუ არა საკრებულოს სხდომაზე მდინარე ბჟუჟის ხეობაში „პარვუს ჯგუფის“ საქმიანობის შესახებ



31 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა **გიორგი შილაკაძემ** ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან საკრებულოს სხდომაზე კომპანია „პარვუს ჯგუფის“ მიერ, მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის მშენებლობის შესახებ დასვა კითხვა.

*—ადგილობრივი მედიასაშუალებები წერენ, რომ კომპანია „პარვუს ჯგუფი“მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის აგებას აპირებს, ისე, რომ საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი არ იცის. რაღაც შეხვედრა კი ჩაუტარებიათ სოფელ გომში, მაგრამ მე შემოქმედელი კაცი ვარ და ამის შესახებ არ გამიგია. მე მშენებლობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ გვაინტერესებს, ვინ არიან ისინი, რა ლოკაციაზე აპირებენ ჰესის აშენებას. მათ უკვე ტყეში გზა გაჰყავთ . გვეუბნებით, არ მონაწილეობთ კომისიების სხდომებში ა, ბატონო, ვაყენებ წინადადებას და გაგვაგებინეთ რა ხდება — მიმართა საკრებულოს გიორგი შილაკაძემ.*

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილის, **ლავრენტი ბიგვავამ გამოთქვა** აზრი, რომ მათ შეეძლოთ კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელები საკრებულოს სხდომაზე, ან შესაბამის დარგობლივი კომისიის სხდომაზე მოეწვიათ, კითხვები დაესვათ და დეპუტატებისთვია გაეცათ პასუხი.

თუმცა, მას შემდეგ ორი თვე გავიდა და საკრებულოს დღის წესრიგში ეს საკითხი არ დამდგარა.

დღეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე საკრებულოს წევრმა გიორგი შილაკაძემ კვლავ დასვა კითხვა მდინარე ბჟუჯის ხეობაში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით.

—2 თვის წინ, საკრებულოს სხდომაზე დავსვი საკითხი მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით. თქვენ მითხარით, რომ შეისწავლიდით საკითხს, და კომისიის ფარგლებში ვიმუშავებდით. რა პოზიციაზეა დღეს ეს საკითხი, რადგან კომპანია „პარვუს ჯგუფი“ რამდენიმე ლოკაციაზე მუშაობს, რა ზიანი შეიძლება მიადგეს ხეობას? მოვითხოვთ ამ საკითხზე ან საკრებულოს სხდომაზე, ან კომისიის ფორმატში ვიმუშაოთ — მიმართა ლავრენტი ბიგვავას გიორგი შილაკაძემ.

ლავრენტი ბიგვავას განმარტებით, ისინი ერთ-ერთ მედიასაშუალებაში ამომწურავად იყო გაშუქებული ჰესების მშენებლობის თემა და ამიტომ საკრებულოს შესაბამისი კომისის არ შეუქმნია.

როგორც აღმოჩნდა, საკრებულოს თავამჯდომარის პირველი მოადგილე კომპანია „ბახვი 2 ჰესის“ საქმიანობის შესახებ რეგიონის მედიასაშუალებებში გამოქვეყნებულ მასალებს გულისხმობდა.

მცირე კომენტარი ოზურგეთის მუნიციუპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი ღურჯუმელიძემაც გააკეთა:

—არ ვიცი ზუსტად, „პარვუს ჯგუფი“ იყო თუ სხვა, ისინი მოსახლეობასაც შეხვდნენ და ესაუბრნენ. ნებართვის საჭიროება ჰესის მშემებლობაზე არ არის და იგი ჩვენგან არ აუღიათ...

„მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესი უნდა აშენდეს“ —ამ სათაურით გაზეთ „ალიონის“ 27 ივნისის ნომერში (№15) დაიბეჭდა სტატია, რომელიც კომპანია „პარვუს ჯგუფის“ მიერ მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ მშენებლობას შეეხებოდა:

http://alion.ge/2023/08/mdinare-bJuJis-xeobaSi-s-2/

# სოფლის ცხოვრება

## კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებისა და რეგიონის განვითარებაზე

## წარმატებული ფერმერები გურიიდან – მაგალითი როგორ დავძლიოთ სიღარიბე

„გურიის მოამბე“ და „ალიონი“ – „ბახვი ჰესის“ დახმარებით – ერთობლივ რუბრიკას – „სოფლის ცხოვრება“ – ვიწყებთ.

უმუშევრობა, მძიმე სოციალური ფონი და მიგრაცია – ეს ის მცირე ჩამონათვალია, რაც ლაიტმოტივად გასდევს გურიაში სოფლის ცხოვრებას, სოფლის, რომელიც თანდათან იცლება ახალგაზრდებისაგან, ოჯახის რჩენისათვის ერთადერთ გამოსავლად კი საზღვარგარეთ – სამუშაოს პოვნა მიიჩნევა.

სამწუხაროა, რომ ასეთ პირობებს – ობიექტურ მიზეზებთან ერთად – სუბიექტურიც განაპირობებს, პირველ რიგში ის, რომ სოფელში ადგილობრივები არ არიან ინფორმირებულები, რომ ამ პირობებშიც. სავსებით შესაძლებელია ადამიანებმა საკუთარი ძალებით ნახონ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

მცირე ფერმერული მეურნეობები, სწორი აგრარული პოლიტიკა, გამოცდილებაზე დაყრდნობილი პოზიციონირება ამ სფეროში და პარტნიორების ძებნა, ხშირ შემთხვევაში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამებში – ეს ის თემებია, რომლის გამოყენებითაც ნებისმიერ გურულ ოჯახს შეუძლია იპოვოს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან და ადგილებზე შექმნან წარმატებული ფერმერული მეურნეობები.

ამას, ხშირ შემთხვევაში, აბრკოლებს ადგილობრივი მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირებულობა და გამოცდილების არ ქონა.

ჩვენი მიზანია, თქვენ მოგაწოდოთ არა-მარტო ენციკლოპედიური ტექსტები – არამედ. კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ფარგლებში. გაპოვნინოთ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან-თქვენივე თანასოფლელების, წარმატებული ფერმერების გამოცდილების ხარჯზე.

„გურიის მოამბე“, „ალიონი“ და „ბახვი ჰესი“ რუბრიკით „სოფლის ცხოვრება“ – შეეცდებიან. მნიშვნელოვნად ხელი შეუწყონ თქვენს ინფორმირებულობას, რაც თავისთავად აისახება თქვენს წარმატებაზე – ადგილებზე განავითაროთ ფერმერული მეურნეობები, იპოვოთ გამოსავალი და იყოთ წარმატებულები საკუთარ კარ-მიდამოში.

გაზეთ „ალიონისა“ და „გურიის მოამბეს“ რედაქცია დიდ მადლობას უხდის ამ შესაძლებლობისათვის „ბახვი ჰესს“ – ასევე ყველა იმ წარმატებულ ფერმერს, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში ჩვენთან ითანამშრომლებენ.

## სიახლე ჩაის ფოთლის მწარმოებელთათვის

**ნუგზარ ასათიანი, გაზეთი „ალიონი“**

ა(ა) იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის და ა (ა) იპ ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაის“ორგანიზებით ანასეულში გაიმართა მეჩაიეთა-შეხვედრა სემინარი, სადაც პირველად წარმოადგინეს მწვანე ჩაის წარმოების ახალი სამანქანო ტექნოლოგია, რომლის მთავარ ეფექტს წარმოადგენს ერთეულ პროდუქციაზე ენერგეტიკული დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირება. საკითხმა ჩაის წარმოებით დაინტერესებულ პირებში, რომლებიც სემინარს მრავლად ესწრებოდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ცნობილია, რომ ჩაის წარმოება ძირითადად თბურ ტექნოლოგიურ პროცესებზეა დამყარებული და შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულებაში ენერგო დანახარჯების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად მაღალია. თუ რაში მდგომარეობს წარმოდგენილი ტექნოლოგიური სიახლე და მისი ადგილობრივ წარმოებაში დანერგვის რა პერსპექტივებზე შეიძლება საუბარი, ამ კუთხით ვესაუბრეთ პროექტის ხელმძღვანელს, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორს **ბახვა დოლიძეს**:


მოგრეხილი ჩაის ფოთლის მაფორმირებელ-საშრობი დანადგარი

**– ბატონო ბახვა, ანასეულის ინსტიტუტის ავტორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილია მწვანე ჩაის ახალი სამანქანო ტექნოლოგია, რომელიც ინვენტორული ენერგოდამზოგავი დანადგარის ბაზაზეა შექმნილი.**

▶▶▶ გვ–5

## კოტე სარიშვილი – „ხომ ვართ წარმატებული მარიხუანას კულტურის მოყვანაში“, რატომ არ უნდა ვიყოთ ასეთივე წარმატებული სხვა კულტურებთან მიმართებაში“

**ლადო მენაბდე, „გურიის მოამბე“**



**„კოტე სარიშვილი,** ოზურგეთში მცხოვრები, იმ ათეულობით ფერმერიდან ერთერთია, რომელიც მშობლიურ რაიონს რამდენიმე წლის წინ დაუბრუნდა.

ის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურში – 4 ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობს, **წინააღმდეგია მონო კულტურული მეურნეობების და მიიჩნევს, რომ ფერმერებისათვის უკეთესია, არა ერთ რომელიმე კულტურაზე, თუნდაც ჩაიზე, თხილზე ან მოცვზე აქცენტირება, არამედ საკუთარი ნაკვეთების სხვადასხვა კულტურების მოყვანაზე ორიენტაცია.**

მიაჩნია, რომ, ამ გზით, გლეხები თავს აარიდებენ სხვადასხვა დაავადებებს საკუთარ ნაკვეთებში, რომელიც მძიმე დარტყმას აყენებს გლეხურ მეურნეობებს და შემოსავლებიც უფრო სტაბილური იქნება.

ამის მაგალითად მას თხილის ბიზნესის პრობლემები მოყავს:

*„ნებისმიერი კულტურა, რომელიც მარტო რჩება ბუნებასთან, უჭირს დაავადებებთან გამკლავება და სისტემატიურ ჩარევას ითხოვს. ამის მაგალითი თხილია და ის დაავადებები, რომლებმაც ამ ბიზნესს დიდი დარტყმა მიაყენა, შესაბამისად ეს მძიმედ აისახა გლეხზე, მიმაჩნია, რომ თხილის პლანტაციების პარალელურად სხვა კულტურები, თუნდაც მეხილეობა რომ ყოფილიყო, ამ კულ-ტურისათვის ბუნებრივი – მოდით ასე ვთქვათ -შემოტევები– შედარებით ადვილად გადასალახი იქნებოდა..*

კოტე სარიშვილმა მოსკოვის გაზისა და ნავთობის იმნსტიტუტი დაამთავრა, თუმცა ათზე მეტი წელია, ის აგრარულ სექტორში მოღვაწეობს და ამ მიმართულებით წლების განმავლობაში. ჯერ ქვეყნის დედაქალაქში, მოგვიანებით კი ოზურგეთის თვითმმართველობაში საჯარო მოხელე იყო, თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ის დღეისათვის, ოზურგეთში-აგრარულ სექტორში მოღვაწეობს და საკუთარი ფერმერული მეურნეობა აქვს.

აქედან ორ ჰექტარზე ბოსტნეული კულტურის – ხოლო დანარჩენ ორ ჰექტარს- მრავალწლიანი ნარგავებისთვის იყენებს.

*„ჩემი ძირითადი ბიზნესი იქნება ფოთლოვანი კულტურა, ეს იქნება სალათები, კომბოსტოს სხვადასხვა ჯიშები, მათ შორის ბროკოლი და მემწვანილეობა. იქნება. ასევე პარკოსანი კულტურა, ლობიო, სოიო, ოსპი, შევისწავლე ადგილობრივი ბაზარი, მთლიანად მასზე ვიქნები ორიენტირებული, ასევე თვისებები ამ კულტურების, მაგალითად – მექნება ასეთი მცენარე ბამია, რომელიც პირდაპირ მისწრებაა დიაბეტით დაავადებულთა და კუჭნაწლავის პრობლემის მქონე ადამიანებისათვის. ვიცი რომ ამ პროდუქტებზე მოთხოვნილება არის და გასაღების ბაზრის ძებნისთვის დიდი ძალისხმევა არ დამჭირდება“* – ამბობს სარიშვილი.

მისი ფერმერული მეურნეობა რამდენიმე თვის წინ, ოზურგეთში მოქმედმა „ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტმა“, რომელიც ამ მიმართულებით „შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა“ და გაეროს პროგრამის ეგიდით საქმიანობს – მიკროკულტურების განვითარებისათვის დააფინანსა, და მის ფართო ჩამონათვალს, ბოლიკი, სტაფილო და სხვა კულტურებიც „შეუერთდა“.

სარიშვილს მიაჩნია, რომ მონოკულტურებისაგან განსხვავებით – ეს მიკროკულტურა უფრო ეფექტურია, არ ჭირდება წლები მოცდას, პროდუქციას ზოგი კულტურა 10 დღეში, ზოგიც სამ კვირაში იძლევა და ბაზარიც მოთხოვნადია.

ფერმერი ამ ეტაპზე ფიქრობს – ისარგებლოს სადისტრიბუციო ქსელით თუ თავისი სავაჭრო წერტილი გახსნას, ან კიდევ პროდუქცია მომხმარებელს მობილობით მიაწოდოს:

*„მიმაჩნია რომ გლეხი დღეს ჩამოშორებულია გასაღების ბაზარს, რაც ვფიქრობ მთელ რიგ პრობლემებს ქმნის, პირველი პროდუქციის გაძვირება, მეორე გლეხის ვერპოზიციონირება ბაზარზე, რაც აკარგვინებს მას შემოსავალს, სამწუხაროდ ე.წ. „გადამყიდველების ინსტიტუტი: ამ მიმართებით ბარიერია:*

*თავისთავად დღეს, სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ბიზნესის – მცირე მეურნეობის დასაწყებად - შესაძლოა ბევრი სირთულე არსებობდეს, თუმცა ვფიქრობ, რომ* ***მთავარი პრობლემა ამ მხრივ არაინფორმირებულობაა,*** *რა თქმა უნდა არსებობს ობიექტური მიზეზებიც, რაც სოფლად მცხოვრებთ აიძულებთ დატოვონ სოფელი და ოჯახის სარჩენად სხვა ქვეყნებს ან დიდ ურბანულ ცენტრებს მიაშურონ, მაგრამ ათასი მეტრი მიწის ფართობი, თითოეული მოსახლე ხომ ერთ ჰექტარს მაინც ფლობს, ძალიან კარგია რომ ინფორმირებულობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოს ჩვენი ფინანსური მდგომარეობა.*

*მონო კულტურების, – მარტო ჩაის, მარტო თხილის, მარტო მოცვის მოყვანის წინააღმდეგი ვარ, აი, როცა შენ გაქვს მოცვის პლანტაცია, მას უამრავი დაავადება უტევს მაშინ როცა მოვცს გვერდით არ „ჰყავს ისეთი მეგობრები“ რომლების ამ დარტყმას შეუმსუბუქებენ და ნაწილს საკუთარ თავზე აიღებენ. აი, მაგალითად თხილს რა გავუკეთეთ? გავხადეთ მონო კულტურა, ამოვუძირკვეთ ყველაფერი ირგვლივ და დავტოვეთ ამ შემოტევებთან მარტო. და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, ეს კულტურა უკვე განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, იმ დოზითაც კი, რომ, მისი მომსახურება საბაზრო ფასს უკვე ჩამოუვარდება. გლეხები დღეს თხილის პლანტაციების შესაწამლად რომ მიდიან, ხუმრობენ და ამბობენ, რომ შესაწამლად კი არა მოსაწამლად მიდიან“* - მიიჩნევს ბატონი კოტე. სარიშვილი.



**რა უნდა გააკეთოს სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა წარმატებული ბიზნესის დასაწყებად?**

*პირველ რიგში უნდა შეიძინოს ცოდნა, გამოცდილება და მიიღოს ინფორმაცია, მხარეში არის უამრავი წარმატებული ფერმერი, ამ მაგალითზე მიიღოს ცოდნა, მოძებნოს სხვადასხვა პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს, ასევე სახელმწიფოს გარდა ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მზადაა ამ ტიპის ადამიანებს დაეხმაროს, თავისთავად ეს საკმარისი შეიძლება არ იყოს, მაგრამ თუ ისარგებლებს ჩვენი, ანასეულის ლაბორატორიით და გამოიყენებს წარმატებული ფერმერების ნაკვეთებს,*

▶▶▶ გვ–5

# სიახლე ჩაის ფოთლის მწარმოებლებისთვის



ბ. დოლიძე, ზ. ანდღულაძე, დ. როყვა ჩაის ფოთლის საფიქსაციო ინვერტორულ დანადგართან

— ჩაის დარგი, საქართველოს ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. ადგილზე წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა პრიორიტეტულია მეწარმეთათვის ადგილობრივ და სხვა ბაზრებზე დასამკვიდრებლად. ჩაის წარმოება ენერგოტევადი პროცესია, ენერგოდანახარჯების შემცირება მნიშვნელოვანია მეწარმეთათვის და პრიორიტეტულია სამეცნიერო თვალსაზრისით.

სამეცნიერო კვლევების საფუძველი გახდა მეწარმეთა ჯგუფის თხოვნა, მწვანე ჩაის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზში შემავალი სახალავი დანადგარის მაღალი ენერგოტევადობის შემცირება, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ავტორთა ჯუფის ( ბ. დოლიძე, თ. რევიშვილი, ზ. ანდღულაძე, ე. გობრონიძე, ლ. ქვანია) მიერ ჩატარდა არსებული სახალავი დანადგარების ტექნოლოგიური და კონსტრუქციული პარამეტრების კვლევა, რომლის საფუძველზე **არჩევანი შეჩერდა სახალავ დანადგარებში ენერგოდამზოგი ინვენტორული ტექნოლოგიის გამოყენებაზე.**

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ეს დანადგარები ჩაის ხარისხის გაუმჯობესების გარდა შემუშავებულია ენერგეტიკული დანახარჯების შემცირების მიზნით. რა ეფექტებზეა საუბარი და რა მეთოდით მოიხმარს თქვენი გამოგონება ენერგიის წყაროს, რამდენად უსაფთხოა ეკოლოგიურად შეთავაზებული ტექნოლოგია მომხმარებლისათვის?**

— ამ დანადგარების უპირატესობა ისაა, რომ **მცირე ენერგოდანახარჯებით ვღებულობთ სასურველ ტექნოლოგიურ და ეკონომიურ ეფექტს.** შეიქმნა მცირე თბოდანაკარგების მქონე შნეკური ტიპის დანადგარი, რომლის კორპუსზე შესაბამისი თბოიზოლაციით მოწყობილია ინვენტორული გამახურებელი. ინვენტორული გამახურებელი საშუალებას იძლევა დროის მცირე მონაკვეთში ელექტრომაგნიტური ინდუქციის გამოყენებით შნეკური დანადგარის მუშა კამერაში შევქმნათ სტაბილური მოხალვის ტექნოლოგიური ტემპერატურა, ტემპერატურის სტაბილურობას უზრუნველყოფს შნეკური დანადგარის კონსტრუქცია. დამყარებული რეჟიმის პირობებში ინვენტორული მოწყობილობა არეგულირებს (ამცირებს, ან საჭიროების შემთხვევაში ზრდის) მოხმარებული ელ. ენერგიის რაოდენობას.

უნდა აღინიშნოს, რომ **შეთავაზებული ტექნოლოგია გარდა ენერგოდაზოგვისა ეკოლოგიურად უსაფრთხოა, ხოლო ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს სურსათის უსაფთხოებაზე წაყენებული სტანდარტების მასალების გამოყენებით.** აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე მომზადდა საპატენტო განაცხადი **„ჩაის ფოთლის მომხალავი დანადგარი“**, რომელზეც მიღებულია შესაბამისი საპატენტო მოწმობა, რომლის საფუძველზე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაკეთდა საგრანტო პროექტზე განაცხადი — **„მწვანე ჩაის ახალი სამანქანო ტექნოლოგიის შემუშავება და რეალურ გარემოში ტესტირება“**, პროექტი დაფინანსდა. პროექტით მიხედვით დამზადდა ჩაის ფოთლის სახალავი და საგრეხი დანადგარები, რომლებიც გათვალისწინებული მცირე და საშუალო სიმძლავრის ჩაის წარმოებისათვის. თუმცა მუშაობის პრინციპის მიხედვით იგი შეიძლებას დამზადდეს უფრო მაღალ სიმძლავრეზე გაანგარიშებით.

ამ ინტერვიუში ჩაის ფოთლის საშრობ და საგრეხ მანქანებზე ყურადღებას არ გავამახვილებთ. მრავალჯერადმა საწამოო ცდებმა აჩვენეს სახალავი დანადგარის ეფექტურობა და საბოლოოდ დადგინდა მისი ტექნიკური მონაცემები: **დანადგარის წარმადობა ჩაის ფოთლის ხარისხის გათვალისწინებით 35- 40კგ/სთ, მოცემული წარმადობის პირობებში დაიხარჯა 3,5 – 4 კვტ/სთ ენერგია**, ამ ენერგიით ინვენტორული სახურებლით სახალავის მუშა კამერაში მივიღეთ 145 – 155 გრად. ტემპერატურა, ხოლო მოხალვის ხანგრძლივობა შეადგენს 3-3,5 წთ. მიღებული მწვანე ჩაი პასუხობს ხარისხზე წაყენებულ მოთხოვნებს.

**— რა უპირატესობა აქვს თქვენს მიერ შექმნილ დანადგარს ჩინურ და სხვა უწყვეტი ქმედების დოლურ დანადგარებთან შედარებით. აგრძელებთ თუ არა სხვა ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებაზე კვლევას?**

— ჩვენს მიერ შემოთავაზებულ შნეკური ტიპის ინვენტორულ სახალავ დანადგარს გააჩნია უპირატესობა შესაბამისი წარმადობის უწყვეტი ქმედების დოლურ დანადგარებთან, რომლებშიც ტექნოლოგიურ პროცესი მიმდინარეობს ხარისხზე წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ მოითხოვს 25 დან - 40კვტ/სთ ელ. ენერგიას. ჩვენ საინჟინრო ჯგუფს შეუძლია სასურველი წარმადობის საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შემუშავება. ასევე ჯგუფი აგრძელებს მუშაობას ჩაის ფოთლის გადამუშავების სხვადასხვა ტექნოლოგიურ დანადგარებზე ინვენტორული ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის გამოყენების კვლევას.

# კოტე სარიშვილი – „ხომ ვართ წარმატებული მარიხუანას კულტურის მოყვანაში“, რატომ არ უნდა ვიყოთ ასეთივე წარმატებული სხვა კულტურებთან მიმართებაში“

*როგორც საჩვენებლს, ვფიქრობ რომ ამ ეტაპზე საკმარის ინფორმაციას, გამოცდილებასა და ცოდნას მიიღებენ.*

*ყველგან საზღვარგარეთ ასე ხდება ხომ, იღებენ ჯერ ცოდნას, ინფორმაციას და მერე იწყებენ ამისაგან დაგროვილი გამოცდილებით. საკუთარი მეურნეობის შექმნას. შესაძლოა ვინმეს ეს ძალიან რთულად მოეჩვენოს, მაგრამ არ არის ასე.*

*შემდეგ მოდის მენეჯმენტი, ვსწავლობთ ბაზარს, რა პერსპექტივა აქვს ადგილზე იმ კულტურას რომლის მოყვანასაც ვაპირებთ, და ამის შემდეგ ვსარგებლობთ ანასეულის ლაბორატორიით, რომელი კულტურა მიესადაგება თქვენს მფლობელობაში არსებულ ნიადაგს ყველაზე მეტად.*

*ჩვენი პრობლემა. ამ შემთხვევაში არამარტო ფერმერებს და ბიზნესს, არამედ საზოგადოებას ვგულისხმობ, სოლიდარულობის გრძნობის დეფიციტია სხვა ბიზნესის მიმართ, მაგალითად, საზღვარგარეთ ფერმერული მეურნეობები სარგებლობენ კოოპერაციული კავშირებით, ასოციაციებით, მათი მეშვეობით ფერმერებს მენეჯმენტზე ზრუნვა და სხვა სახის ფორმალობები არ სჭირდებათ, ეს სფერო არ არსებობს, ასევე არა ვართ სოლიდარულები ინვესტორებისა და იმ კომპანიების მიმართ. რომლებიც მხარეში საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტებით შემოდიან და ვერ ვაცნობიერებთ, რომ ხშირ შემთხვევაში რაღაცა დათმობაზე წასვლაც აუცილებელია ,უფრო მეტად მნიშვნელოვანის გამო.*

***მე დადებითად მიმაჩნია მხარეში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ენერგია ჩვენი განვითარებისათვის აუცილებელია,*** *არ შეიძლება მხარე განვითარდეს რაღაც ერთი მიმართულებით და ის წარმატებული იყოს თუ ეს არ ხდება მთლიან კონტექსტში,* ***კარგია რომ სოლიდური და პასუხისმგებლიანი კომპანია მუშაობს ამ მიმართულებით ბახვის ხეობაში,*** *რაც მაფიქრებიმნებს, რომ ბუნებაზე ნაკლები ზემოქმედებით განვითარდება ასეთი პროექტები.*



**რამდენად მზად ვართ ჩვენ გამოცდილების მისაღებად?**

*ხშირად გამიგია, რომ არა ვართ ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლ-ებისაკენ მიდრეკილნი, აი მაგალითად ავიღო კანაფი (პლანი) — ყველა სოფელში, თითქმის ყველა ოჯახში მცხოვრებ ახალგაზრდას ხომ გამოყავს უმაღლესი ჯიშის? რატომ არ შეიძლება იგივე — თუნდაც ფოთლოვანი კულტურის მიმართულებით მოხდეს? ამ ადამიანებმა ხომ ზედმიწევნით იციან „პლანის ძირს“ როდის რა და როგორ უნდა“ — ცოტაოდენი ბიძგი გვჭირდება და სხვა მიმართულებითაც იგივე წარმატებებს მივაღწევთ როგორც დღეს ჩვენთან მარიხუანას კულტურაში ხდება — ეს ნახევრად ხუმრბით მაგრამ მაინც ნიშანდობლივაა.*

*ბევრჯერ გამიგია, რომ სახელმწიფო არაფერს არ აკეთებს გლეხებისთვის, პროგრამები კი არის, მაგრამ იქ ნეპოტიზმია, ნავნობი თუ არ გყავს ვერაფერს გახდები და ასე შემდეგ...*

*მე მყავს კანადელი მეგობარი ფერმერი, რომელიც მიმტკიცებს რომ კანადის მთავრობა ყველაფერს აკეთებს ფერმერული მეურნეობის გასანადგურებლად, ადევნებთ ვიცი თვალყურს და გეცოდინებათ როგორი ხშირია ფერმერთა საპროტესტო გამოსვლები ესპანეთსა და საფრანგეთში, გერმანიაში, სიხისტით ჩვენი ოპოზიციაც კი მათთან ვერ მივა, ანუ რისი თქმა მინდა, ეს გარკვეულწილად ზერელე დამოკიდებულების შედეგია, დამერწმუნეთ დღეს ნებისმიერ გლეხს, იგივე სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობით, ან მესამე სექტორთან ურთიერთობით, ან კიდევ მცირეოდენი კაპიტალის პირობებში — შეუძლია მინიმუმ გააორმაგონ საკუთარი შემოსავალი და საკუთარი ცხოვრება გახადოს უკეთესი. თუნდაც დავუბრუნდეთ მარიხუანას, აქ თუ ვართ წარმატებულები, რატომ არ უნდა ვიყოთ სხვა კულტურებთან მიმართებაში? უფრო სერიოზულად თუ მივუდგებით. გარკვეულ პრობლემას ქმნის ის რომ დღეს გლეხი ჩამოშორებულია ე.წ. „საკოლმეურნეო ბაზარს“ — გლეხს არა აქვს შესაძლებლობა გამოიტანოს საკუთარი ნაწარმი და გაყიდოს. არ უნდა დაველოდოთ ამ მიმართულებით სახელმწიფოს — ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი კოოპერაციები- მაგალითად ყველის მწარმოებელთა კოოპერაცია, რძის მწარმოებელთა კოოპერაცია, ხორცის, მწვანილის და ასე შემდეგ. ერთია მეურნეობის განვითარება და მეორე სწორი პოზიციონირება, ნაკლები დანახარჯებით მოქმედება ბაზარზე.*

# „შეხვედრების მსვლელობაში მათ მიიღეს ის, რაც სჭირდებოდათ“ -

## ჩოხატაურში შშმ პირების მშობელთა ხელშეწყობის პროგრამა მიმდინარეობს

უკვე რვა თვეა, რაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი პირების მშობლებისთვის სპეციალური თერაპიის კურსი გრძელდება. პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“, მხარდამჭერი კომპანია „ბახვი ჰესი“, რომელიც მოცემულ ინიციატივას აფინანსებს, პარტნიორი კი ადგილობრივი თვითმმართველობაა, რომელიც პროექტში ჩართული პირების ტრანსპორტირებას უზრუნველჰყოფს. შეხვდრებითვეში ორჯერ იმართება.

შეხვედრების მიზანითერაპიული ჯგუფის მუშაობის პრინციპით შშმ პირების მშობლებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერაა. როგორც ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ პროექტების მენეჯერი მაკა შანიძე განმარტავს, ტრენინგების მეშვეობით მშობლებს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ საუბრის, ასევე სტრესის დაძლევის გზების შესახებ დისკუსიის საშუალება მიეცათ, რაც არსებული რეალობის გათვალისწინებით მათთვის დახმარების საუკეთესო გზა აღმოჩნდა.

**— ქალბატონო მაკა, პირველ რიგში, მადლობა რომ დრო დაგვითმეთ. გვითხარით, ამ დროისთვის, რამდენი მშობელია პროექტში ჩართული?**

*— პროექტში ჩართულია 30-მდე მშობელი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ქალბატონებმა იგრძნონ, რომ არ არიან მარტო, რომ მათზე ზრუნავენ და დაინტერესებულნი არიან მათი კეთილდღეობით და ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობით.*

**— როგორც ვიცით, პროექტის განმავლობაში მშობლებს შესაძლებლობა აქვთ შეხვედრების სივრცეში შვილებიც ატარონ. ეს პროცესი თავიდანვე ასე იყო დაგეგმილი, თუ პროექტის განხორციელების ეტაპზე გამოიკვეთა ამის საჭიროება?**

*— მშობლებთან შეხვედრების პარალელურად ჩვენი ფსიქოლოგები მუშაობენ ბავშვებთანაც.. ეს პროცესი თავიდანვე ასე არ იყო დაგეგმილი, საჭი-როებამ განაპირობა. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ დედებს მიეცეთ საშუალება მაქსიმალურად იყვნენ ჩართული პროცესში და არ იღელვონ იმაზე, რომ ბავშვს მარტო ვერ დატოვებენ და ამის გამო მოუწევთ რამეს გამოაკლდნენ.*

**— რამდენად დადებითად მოქმედებს თავად ბავშვებზე მსგავსი სივრცის არსებობა და ერთმანეთთან კომუნიკაცია?**

*— ბავშვებთან მუშაობის პროცესი მიმდინარეობს სხვადასხვა თამაშების სახით. ამიტომ მათთვის ეს გარემო როგორც სასარგებლო, ასევე საინტერესო და სახალისოცაა. ერთმანეთთან კომუნიკაცია კი ძალიან დადებითად აისახება ბავშვების ქცევასა და განწყობაზე.*

**— რა მოლოდინები გქონდათ თავად**



**პროექტის დასაწყისში და როგორ შეაფასებთ ახლა პროექტის მიმდინარეობას?**

*— დასაწყისშიც და ახლაც მიმაჩნია, რომ თავისი შინაარსით ნამდვილად უნიკალური პროექტია, რომელიც მასში ჩართულ მშობლელს საშუალებას აძლევს, ისაუბრონ საკუთარ ემოციებზე და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება. ეს პროექტი, ბახვი ჰესის მხარდაჭერით, ჩვენი ორგანიზაციის მიერ ძალიან მნიშვნელ-ოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.*

# ყველა ადამიანური ღირსებით შემკული მეცენატი



2020 წლის გიორგობა დღე იყო. ქვეყანაში კოვიდი მძვინვარებდა. ასეთ მძიმე სიტუაციაშიც კი, მუზეუმში მობრძანებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაშინდელი მერი, ბატონი კოტე შარაშენიძე ნასაკირალის ბრძოლის მასალებით დაინტერესდა. მასთან ერთად იმყოფებოდა ახალგაზრდა, სიმპათიური კაცი, რომლის ვინაობა მაშინ არ ვიცოდი. მერი და სტუმარი ცხავათის მუზეუმის რეაბილიტაციის საკითხზეც ბჭობდნენ. შესაბამისი მასალების გაცნობის შემდეგ, საუბარი გადავიდა გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელისა და მისი ოჯახის ტრაგიკულ ბედზე. იმხანად ვაგროვებდი მასალებს მამია გურიელის უფროსი ქალიშვილის ეკატერინე გურიელის მარტვილობის შესახებ. სტუმარი მეკითხება, ეკატერინე გურიელის ფოტო თუ გაქვთო? ფოტო არ არსებობს-მეთქი, ვუპასუხე და იქვე მხატვარ თამაზ დარჩიას მიერ შესრულებული „ეკატერინე გურიელის პორტრეტი“ ვაჩვენე, ჩემი კვლევის მასალებიც გავაცანი. დავბეჭდოთო, მეუბნება ტელეფონის ნომერს მიტოვებს, სამ დღეში თბილისში ვიქნებიო.

გაოცებული დავრჩი. იქვე გავიგე, რომ ეს ახალგაზრდა კაცი გახლდათ დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნება, ვანო ნაკაიძე. სიტყვას საქმე მოჰყვა და ბატონი ვანოს ფინანსური დახმარებით დაიბეჭდა „ეკატერინე გურიელის მარტვილობა“. მისივე დაფინანსებით, მკითხველი მალე მიიღებს წიგნს „გურიის ახალი დიდგორი“.

ოზურგეთის საზოგადოებრიობამ კარგად იცის ქვედა ბახვის წმინდა მარინეს ეკლესიის ხელახლა აღმშენებლების ნაკაიძეების ოჯახისა და ამ ეკლესიის მოძღვრის მამა იოსების (ნაკაიძე) შესახებ.

ყოველი წლის 30 ივლისს წმინდა მარინეს დღესასწაულზე აქ, ადგილობრივი მრევლის გარდა, უამრავი მომლოცველი მოდის ოზურგეთიდან, რა თქმა უნდა, ბატონი ვანოც ჩამოდის ოჯახის სრული შემადგენლობით. სადღესასწაულო წირვის შემდეგ, ეზოში იმართება დიდი ტრაპეზი. ხალხი ბატონი ვანოსა და მისი ტყუპისცალი ძმის სერგის ირგვლივ ტრიალებს. ძმებიც უყურადღებოდ არავის ტოვებენ.

წლეულს ჩემს ახლობლებს, ზურა და მაია გობრონიძეებს ძალიან გაუმართლათ, მათი შვილი გიორგი საოპერო მომღერალთა კონკურსის ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ოჯახს იტალიაში შვილის გასამგზავრებელი თანხა არ ჰქონდა. თხოვეს ბატონ ვანოს, რომელსაც არც კი იცნობდნენ და რომელმაც პრობლემა მყისიერად გადაჭრა. რაღა თქმა უნდა, ზურა და მაია გობრონიძეები უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავენ ბატონი ვანოს მისამართით.

ბატონი ვანო პერნამენტულად ეხმარება რიგით ადამიანებს, სტუდენტებს სწავლის საფასურის დაფარვაში. უკვე ცნობილი მეცენატი გარკვეული რაოდენობის თანხას უტოვებს მამა იოსებს შეჭირვებული ადამიანების დასახმარებლად. ეს, რაც მე ვიცი ჩემი ნაცნობებისგან და რაც არ ვიცი, ის ღმერთმა იცის.

არის ასეთი გამოთქმა: „თუ მათხოვრები აგეკიდნენ, ესე იგი ღვთის წყალობა აგეკიდა“, მეც ამ „მათხოვრებში“ გავდივარ.

ოზურგეთის საზოგადოებრიობას არასდროს დაავიწყდება წლევანდელი 28 ივლისი. ამ დღეს ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ გაიხსნა გურიის პრეზიდენტის ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტი, რასაც დიდი ხანი ველოდით. თუ არ მეშლება, იგი 2021 წელს უნდა დადგმულიყო, მაგრამ რატომღაც გადაიდო. იმ დღეს ოზურგეთში დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა, არადა, ქალაქი მრავალ საპატიო სტუმარს ელოდა დედაქალაქიდან, ბევრი საინტერესო ღონისძიებაც იყო დაგეგმილი, დავასახელებ ერთ-ერთს, ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის გახსნას.

15 საათისთვის ხალხი თეატრისკენ დაიძრა, მათ შორის ვიყავით მუზეუმელები. წინა დღით შეხვედრა გვქონდა კინორეჟისორთან, მწერალთან და მკვლევართან, ბატონ ირაკლი მახარაძესთან, რომელიც გვესაუბრა ბენია ჩხიკვიშვილზე და მიგვიწვია თეატრში ამ თემაზე მის მიერ შექმნილი ფილმის ჩვენებაზე. თეატრში მისულებს კი სიურპრიზი გველოდა: პარტერსა და იარუსებზე სტუმრებისათვის ყველა სკამზე იდო ჩანთა ბენია ჩხიკვიშვილის პორტრეტით, ჩანთაში იდო წიგნი ბენიას შესახებ, მაისური და ფინჯანი ბენიას გამოსახულებით.

აკადემიურ დონეზე ჩატარებული ღონისძიების შემდეგ, ქალბატონი ნატო მეტონიძისა და ჩვენი „შვიდკაცას“ სიმღერის ფონზე, საზეიმოდ გაიხსნა ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტი. მე იმ დღეს ვნახე წვიმისაგან გალუმპული ბედნიერი გურულები, რომელთაც ღონისძიების დამთავრებამდე „ჭადრების ბაღიდან“ ფეხი არ მოუცლიათ.

ამ ბიუსტისა და მისი ავტორის, ამ ღონისძიების იდეის შესახებ, ალბათ, სპეციალისტები დაწერენ. მე მხოლოდ ვიცი, რომ ყველაფერი ეს დააფინანსა კომპანია „გალფმა“ და მისმა დირექტორმა, ბატონმა ვანო ნაკაიძემ. ისიც ვიცი, რომ ქართველ ცნობილ მეცენატთა სახელებს შეემატა ვანო ნაკაიძის სახელი.

ღმერთმა უმრავლოს ოზურგეთს, გურიასა და სრულიად საქართველოს ყველა ადამიანური ღირსებით შემკული, ბატონი ვანო ნაკაიძისთანა ადამიანები.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

# სკანვორდი



ძაღლის ჯიში
საახალწლო ნობათი
სათავსო გურიაში
სამოთხის ბაღი
დოლი
ქართული ფილმი
სამშენებლო დასადგომი
მიწის გროვა
აფრიკული ხე
70-იანების როკ-ჯგუფი
მათემატიკოსი
პერსონაჟი შერეკილებში
ნახატი სხეულზე
მან. იუნაიტედის სტადიონი
წოდება საფრანგეთში
ნავსადგური
ქალაქი ესპანეთში
უდაბნო
შავჩოხიანი ძველი თბილისელი
გამოყვანილი ნერგი
უთავბოლო ცხოვრება
განვითარება
ფრანგული ტანსაცმლის ბრენდი

## პასუხები:

სურათზე: ანდრეს ინიესტა;წოდება საფრანგეთში –კარდინალი; ძაღლის ჯიში –კანეკორსო; აფრიკული ხე –ბაობაბი; 70-იანელების როკ ჯგუფი –მეტალიკა; მათემატიკოსი –პითაგორა; საახალწლო ნობათი –ხონჩა; ნახატი სხეულზე –სვირინგი; სათავსო გურიაში –ბეღელი; პერსონაჟი ფილმ „შერეკილებში“–ერთაოზი; სამოთხის ბაღი –ედემი; ქალაქი ესპანეთში –ბარსელონა; ქართული ფილმი –ტბა; დოლი –მარულა; ფრანგული ტანსაცმლის ბრენდი –შანელი; ნავსადგური-პორტი; განვითარება –ცივილიზაცია; „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოედანი –ოლდტრაფორდი; შავჩოხიანი ძველი თბილისელი –ყარაჩოღელი; უდაბნო –საჰარა; მიწის გროვა –ბელტი; უთავბოლო ცხოვრება –ბოჰემა; სამშენებლო დანადგარი –ხარაჩო; გამოყვანილი ნერგი –კოშტი.

# არ იყო ადვილი ამ თემასთან შეჭიდება, რადგან იდგა ექვთიმე, იდგა საქართველო, ეროვნული განძის უკვე განვლილი მძიმე გზა - სამშობლოდან სამშობლომდე...



ოზურგეთის, სოფელ ლიხაურში დაიბადა ექვთიმე თაყაიშვილი, ახლა უკვე წმინდანად შერაცხული და საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებული დიდი მამულიშვილი. 17 ოქტომბერი, წმინდანად შერაცხვიდან 20 წელი... და დაბადებიდან 160 წლის იუბილე.

ექვთიმობა, ოზურგეთში ერთ-ერთი ლამაზი დღესასწაულია თავისი შინაარსობრივი და სულიერი გამოხატულებით. 17 ოქტომბერს ექვთიმეს აჩრდილი კვლავ სტუმრობს გურიას, ოზურგეთს, თავის საყვარელ სოფელ ლიხაურს. პირველი ღონისძიება, თავდაპირველად, ექვთიმეს მშობლიურ ლიხაურში გაიმართა, წმინდანის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, საუბარი ექვთიმეს შესახებ და შემდეგ..., განვლილი საუკუნის დასაწყისის თვალსაწიერიდან ნელ-ნელ ამოდიან პერსონაჟები და ოზურგეთელი მაყურებლის თვალწინ, თავიანთი ცხოვრების ეპიზოდებს აცოცხლებენ.

,,სხვანაირი სოის და გუჯაბის ვართ გურულები" — ექვთიმეს ეს სიტყვები ჩაურთო თავის გამოსვლას 156-ე თეატრალური სეზონის გახსნისას, ოზურგეთის თეატრის, სამხატვრო ხელმძღვანელმა **ვასილ ჩიგოგიძემ,** მხატვრულ დოკუმენტური ფანტასმაგორიის ჩვენების წინ სახელწოდებით ,,ექვთიმე". დადგმის ხელოვნება, მსახიობთა შესრულება, ოზურგეთის თეატრის სცენის საოცარი ტექნიკური შესაძლებლობები და აი, მაყურებელს, იმთავითვე ელოდა საოცარი საღამო, რომლის დადგმა განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ოზურგეთის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

მძიმე ემოციების აქოჩრილმა ტალღებმა, სპექტაკლის დაწყებიდანვე ერთნაირად გადაუარა თეატრალთა და მაყურებელთა გულთა გონებას და გონებათა გულს. ადვილიც არ იყო ამ თემასთან შეჭიდება, მაყურებელთან მიტანა და... არც ყოველივე ამის მიღება იყო ადვილი, რადგან იდგა ექვთიმე, იდგა საქართველო, ეროვნული საგანძურის უკვე განვლილი მძიმე გზა და სამშობლოდან სამშობლომდე... იყო მტრობა, აგრესია, თავდადებაც, სიყვარულიც, ერთგულებაც, აზრთა სხვაობა. გვინდა, თუ არ გვინდა, უმეტეს შემთხვევაში, ეს ყოველივე იყო, არის და იქნება ინდივიდუალურ, პიროვნულ აღქმებთან დაკავშირებული და ამ აღქმებიდანვე გამომდინარე, რადგან ,,ჩვენ ყველას გვიყვარს საქართველო, ოღონდ ჩვენებურად, ისე, როგორც ვხედავთ და გვინდა".

სპექტაკლის იდეას ავტორი და დადგმის ხელმძღვანელი **ვასო ჩიგოგიძე** ( ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე); სცენური ვერსია, დამდგმელი რეჟისორი - **გოჩა კაპანაძე** (სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის პრემიების ლაურეატი); რეჟისორი **ლალი თაბაგარი;** მხატვარი **ლომგულ მურუსიძე** (ი. გოგებაშვილის, მარჯანიშვილის, ოცხელის პრემიების ლაურეატი); კოსტუმების მხატვარი — **ქეთი ციციშვილი;** მუსიკალური გაფორმება — **დალი დოიჯაშვილი;** სპექტაკლში თეატრის მთელი დასი მონაწილეობს.

შემოქმედებითი ჯგუფის თავდაპირველი შემოთავაზება — სასცენო დეკორაციები — იმდროინდელ მოვლენათა გამომსახველი, წითელი რეჟიმის სახე და ფორმა. სისხლით შეღებილი მიწა, სისხლ ჩამომდინარე კედელი, ჩაკეტილი გარემო და აქა იქ, ვიწრო სარკმლებიდან მოკიაფე მკრთალი შუქი. იშლება ისტორიის ფურცლები, დაბინდული გარემოს, ბურუსში გახვეული პერსონაჟები. და იქვე, ქართული მიწის სიმბოლო, სისხლისფერი ყაყაჩოებით მორთული, რომელიც კვლავ ,,არა დაღვრილის, დასაღვრელის ალბათ მაცნეა..."- სიმბოლურია და თემატურად საინტერესოდ ჩართული სპექტაკლში ანგელოზი, საქართველოს თანმდევი სული. მცველი და მფარველი ამა ქვეყნისა.

მოკრძალებით შემოდის სცენაზე **გიორგი დოლიძის** პერსონაჟი- ექვთიმე, თანდათან იკვეთება მტკიცე ხასიათი განძის მცველისა. მისი გონებრივი შესაძლებლობები, მოწამეობრივი გზა. სწორედ მასზე შეიძლება ითქვას — ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი, და მაინც გაუტეხელი. საინტერესოდ არის წარმოდგენილი პარიზულ ცხოვრებასთან შეთანაზიარება. ისტორიულ პერსონაჟებთან ერთად, მხატვრული პერსონაჟები შემოჰყავს რეჟისორს. თუ პირველთა ქმედებები და საუბრები ძირითადად ფაქტებს მიჰყვებიან, მეორეთა ქმედებებით, თავისუფლად ახერხებს სპექტაკლის შემოქმედებითი გუნდი, თავისი სათქმელი მოიტანოს მაყურებლამდე, ანუ, კულისებს მიღმა, ან თუნდაც, წარმოსახვაში არსებული. ის რაც ტკივილიც იყო, უარყოფაც და სიამაყეც. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟი, თუნდაც **ბელა კიკვაძის** — ნამეტიაა.

ზოგჯერ და უფრო მეტად ხშირადაც, თვალისა და ყურის არიდებით, რეალურ ფაქტთა ნაწილნი ჩრდილში რჩებიან. აქ კი შემოქმედებითმა ჯგუფმა მოახერხა მათი სამზეოზე გამოტანა. შეიძლება დაისვას კითხვა, რა არის ეს ცხოვრება, მხოლოდ პოლიტიკური თამაში? პასუხისპექტაკლის ცალკეული ეპიზოდებიდან — უცხოეთში გადახვეწილ პოლიტიკურ ჯგუფთა დაპირისპირებები, აგრესია. და სამწუხაროდ, დღესაც, ასწლეულის შემდგომ, მათ შთამომავლობაში გადმოყოლილი.

როგორ ჰგავს დღევანდელ რეალობას ეს ყველაფერი, ისეთივე მდგომარეობა. ახლაც ხომ ყველას უყვარს ეს ქვეყანა, ოღონდ სათავისოდ?! ისევ დგას კითხვა და პასუხსაც ალბათ თავისი გადასახელებიდან სცემს მაყურებელი. მეორე კითხვა — რითი სჯობს თქვენი პარტია ჩვენსას? — ეს კითხვა წარსულსაც დაუსვა სპექტაკლის შემოქმედებითმა მესვეურებმა და დღევანდელობასაც. პასუხი ახლაც სუბიექტურია ალბათ და ყველასთვის სათავისო.

მძიმე და შთამბეჭდავი იყო ნინოს (მსახიობი **თამარ მდინარაძე**) გარდაცვალების სცენა, ათოვდა ლევილის ბაღებს სიკვდილი, და ამ თოვაში უკანასკნელი ცეკვა ექვთიმესა და ნინოსი... მარტოდ დარჩენილი ღვთისკაცი.

ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისთვის, მერე ემიგრანტობა. ქაქუცა ჩოლოყაშვილის (მსახიობი **ლევან სალინაძე)** სიტყვებიდან:*ვერ მაპატიეს ცოცხალი რომ გადავრჩი, ქართველებს ხომ მკვდრები ცოცხლებს ურჩევნიათ.* — მერე ? — ეროვნული გმირის გარდაცვალება, ერთად-ერთი სიმშვიდე მისი, ეროვნული დროშით გაცილება. უმძიმესი ეპიზოდი. ალაგ -ალაგ გაბნეული განცდა, ლხინში თუ არა, გაჭირვებაში ერთად დგომა, ან თუნდაც, ერთად დგომის სურვილი.

ამაღლევებელია ებრაელთა მფარველობის და ათასეულობით ებრაელის გადა-



რჩენის სცენა.

გვერდს ვერ ავუვლით ექვთიმეს შინაგანი ბრძოლის ეპიზოდს. რომელსაც კიდევ მეტად ამძაფრებს მეფისტოფელი —**ზაზა ჯინჭარაძის** პერსონაჟი, მსახიობი გასაოცარი პლასტიკით და სულის გამრღვევი ტემბრით ცდილობს შეაღწიოს ექვთიმეს გულში, მაგრამ აქ გულის კარი ჩაკეტილი დახვდა, მცველად ის სიყვარული და ის ვალდებულება ედგა, სამშობლო რომ ერქვა და ეროვნული საგანძურის სამშობლოში დაბრუნება.

აქტუალობას არ კარგავს ქართული მიწის პატარა ნაჭერი, ემიგრანტთაგან ასეული კილომეტრით დაშორებული, მაგრამ მათ გულში ჩასახლებული. რომელიც ძალას აძლევს იქ მყოფთ.ამ მიწაზე სიმბოლურად მიტანილი საგანძური, წელში გადრეკილი ექვთიმეს მიერ.და ბოლოს, ექვთიმეს დაბრუნება, ისევ წითელი რეჟიმის საშინელი რეალობა. ექვთიმეს ტანჯვად ქცეული ცხოვრების კიდევ მეტად დამძიმება და გარდაცვალება... უკვე კულმინაციას აღწევს ემოციათა დაძაბულობა. უმძაფრესი და უძლიერესი სცენა — ექვთიმეს გასვლა ამ ქვეყნიდან. ირღვევა სისხლმდინარე კედელი და ხახულის გრანდიოზული, ოქროჭედული ხატი არღვევს მიწიერი არსის უსუსურობას, კარს უღებს ექვთიმეს, გულში იხუტებს სნეულ ღვთისკაცს და სინათლის გვირაბისკენ უკვალავს გზას.

ოზურგეთის თეატრის სცენური შესაძლებლობები და ეფექტები კიდევ მეტად ამძაფრებს თითოეულ ეპიზოდს.

გაიყინა დარბაზში ემოციები... აქა იქ შეძახილები — რას გვერჩოდნენ. ეს ყველაფერი კი შემოქმედებითი კოლექტივისა და ოზურგეთელ მსახიობთა დასის უდიდესი შრომითა და შესაძლებლობებით შედგა. რთულია მიმოიხილო ყოველი პერსონაჟი, ეპიზოდი, ან განსაკიერებული რო-ლი. აქ ერთი მეორეს ავსებს და აძლიერებს. ერთიან ჯამში კი ამ უმძიმეს თემას აერთიანებს. ყველაფერი თვალნათელია და ცხადი — სპექტაკლი შედგა. რაც მაყურებელთა ოვაციებითა და შეძახილებითაც დადასტურდა. კიდევ მეტად აიწია თამასა. არის მოლოდინი, რადგან არის შესაძლებლობებიც.

თამამად შეიძლება ითქვას: პროექტი — ტრილოგია, თავისი სამი საუკეთესო სპექტაკლით, ოზურგეთის თეატრის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად შეიძლება ჩაითვალოს.

**ნინო ნიკოლაიშვილი.**

# 16 ლიხაურელი გმირის ხსოვნის პატივსაცემად



**ალიონი.** 23 ოქტომბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში, ,,პეტრას" ციხის მიდამოებში, რამდენიმე ოზურგეთელმა პატივი მიაგო 1877 წლის 19 ოქტომბერს თურქებთან ომში დაღუპული 16 ლიხაურელის ხსოვნას.

ამ კეთილი საქმეს შარშან, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორმა რუსლან ურუშაძემ ჩაუყარა საფუძველი. მან ასევე 18 წლის წინ ჩოლოქის ბრძოლის აღნიშვნასაც ჩაუყარა საფუძველი., რომელიც ყოველწლიურად იმართება.

ოზურგეთელების მცირე დელეგაციამ 16 გმირის პატივსაცემად ,,პეტრას" ციხის კედლებთან 16 სანთელი დაანთო.

*—ზუსტად 146 წლის წინ,1 877 წლის 23 ოქტომბერს, აქ აღესრულა ისტორიაში კარგად ცნობილი 16 ლიხაურელი ვაჟკაცი, რომლებიც შეეწირნენ დედასამშობლოსათვის ბათუმის მხარის დაბრუნებას და უკვდავყვეს თავიანთი სახელი. ეს მხარე, მოყოლებული მე-14 საუკუნიდან, ტრაპიზონის საკეისროს გაუქმების შემდეგ, ქართველი ხალხისთვის იყო გამუდმებული ბრძოლების ადგილი და მტერმა შეძლო მდინარე ჩოლოქამდე მიეღწია.*

*ლიხაურელთა გმირობიდან რამდენიმე ხანში თურქეთის იმპერიასთან 1877-1878 წლების ომი სან-სტეფანიოს ზავით დასრულდა, როემლსაც შემდეგ ბერლინის კონგრესი მოჰყვა. 25 აგვისტოს ქართველების ჯარი ბათუმში შევიდა —* გვითხრა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორმა **რუსლან ურუშაძემ.**

* * *

ცნობილია 16 ლიხაურელი გლეხის გმირობა, რომლებიც ომის დაწყების პირველსავე დღეს მოხალისეებად ჩაირიცხნენ ჯარში და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ. ივანე მაყაშვილის წიგნში ვკითხულობთ: ужины как самые боевые и воинственные, при том прекрасно знакомые с местностью.

ლიხაურელები გურიის დრუჟინის მთავარი მეგზურები იყვნენ. თურმე მათი ჩაცმულობა, ე.ი. ჩაქურა და აღჭურვილობა ხელს უწყობდა, რათა ყველაზე ძნელად გასავალ ადგილებში მათ ადვილად ემოძრავად და მტერს შეუმჩნევლად მიახლოვებოდნენ. ასევე, აღნიშნავდნენ, რომ ლიხაურელები, ისევე, როგორც სხვა გურულები, ჩუბინები იყვნენ, მიზანს არ აცილებდნენ და დიდი ზიანს აყენებდნენ მტრის ცოცხალ ძალას.

1877 წლის 19 ოქტომბერს, საბრძოლო დავალების შესრულების დროს, მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში თექვსმეტივე ლიხაურელი გმირულად დაიღუპა.

ერთ-ერთი ბრძოლის წინ, სანამ გურულების ასეული პოზიციებს დაიკავებდა, ლიხაურიდან გამოცხადდა 16 ლიხაურელი და ითხოვა რომ მზვერავებად წინ გაეშვათ. მათ დართეს ნება და ისინი დიდი სიხარულით გადავიდნენ მდინარე ჩოლოქის მეორე მხარეს. მას მიჰყვა გურულთა ასეული. ეს მანევრი შენიშნეს თურქებმა და ძალიან ფრთხილად, ჯარი, რომელიც ოთხჯერ მაინც აღემატებოდა ასეულს, დაიძრა მათ მხარეს. დრუჟინის მეთაურმა მაყაშვილმა გაიგო რა თურქების მანევრის შესახებ, სასწრაფოდ მოითხოვა პლასტუნების ასეულის უფროსისაგან, რათა დასახმარებლად გასულიყვნენ. მაგრამ მან უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ ჯარისკაცები მშივრები არიანო და როცა დავაპურებთ, მაშინ გავემგზავრებით ჩვენი მეზობლების, გურულების დასახმარებლადო.

ამასობაში ატყდა სროლა, ლიხაურელები კი გადაეყარნენ თურქთა ორასკაციან ჯარს და თექვსმეტივე ლიხაურელი ბრძოლაში დაიღუპა. თურქებმა მათ თავები და ხელები მოკვეთეს მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა პლასტუნთა რაზმი დასახმარებლად, მაგრამ მოწინააღმდეგეს უკან დაეხია. მეორე დღეს პორუჩიკი ღლონტი რამდენიმე გურულთან ერთად გაემართა ბრძოლის ადგილას და იქ ნახა თავ და ხელმოკვეთილი გვამები. ღლონტი მაშინვე დაბრუნდა ქაქუთის პოსტზე, საიდანაც გაგზავნილ იქნა შეიარაღებული რაზმი გვამების წამოსაღებად, რომლებიც ლიხაურში აიტანეს და დიდი პატივით დაასაფლავეს.

# არასოდეს ყოფილა, და არც ახლა არის ადვილი ხელოვნების გზაზე შედგომა და მერე... ამ გზიდან არ გადახვევა



37 წელი ოზურგეთს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის გახსნიდან. მას შემდეგ, ამ ცენტრში გამართული, არაერთი საინტერესო ღონისძიების თანამონაწილე, ან, უბრალოდ მხილველი გამხდარა ოზურგეთელი საზოგადოება, მათ შორის, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მხატვართა პერსონალური, თუ ჯგუფური გამოფენების სახით.

19 ოქტომბერი, პერსონალური გამოფენა. საგამოფეო დარბაზში, ოზურგეთელი მხატვრის, ვალერი მახარაძის მრაფალფეროვანი თემატიკითა და საინტერესო სიუჟეტური დატვირთვის მქონე ნახატები იყო წარმოდგენილი.

ვალერი მახარაძის ბიოგრაფიიდან: ოზურგეთს დაიბადა და ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა დაამთავრა. იგი ბავშვობიდანვე ხატავდა, თუმცა ამ მხრივ, მისი მუშაობა, ძირითადად, მხოლოდ სასკოლო კედლის გაზეთის გაფორმებით შემოიფარგლებოდა. პირველი ნამუშევარი — ავტოპორტრეტი 1981 წელს დახატა, შესრულებული ზეთის საღებავით. შემდეგი ნახატებიც ზეთის საღებავითაა შესრულებული. 1983 წელს, სხვა მხატვრებთან ერთად, მისი რამდენიმე ნამუშევარი, ოზურგეთის მუზეუმში გამოიფინა.

სტატიაში ,,სიხარული გვაჩუქეს“, რომლის ავტორია ცნობილი ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე **ელგუჯა შევარდნაძე,** ვკითხულობთ: *,,ამაღელვებელი და მეტყველი ფერადოვანი სამყარო მოიტანა გამოფენაზე ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა ვალერი მახარაძემ. გაცნობიერებული და მსუყეა მისი ფუნჯის მონასმი, რომელშიც თავისებურადაა წარმოდგენილი აზრი, ოცნება ნათელსა და კეთილზე, ხოლო მეტყველი ფერების ექსპრესიულობა ცხადად აჩენს მხატვრის სიმბოლურ აზროვნებას, გარე სამყაროს შეცნობის მისეულ მანერას. ამ მხრივ საინტერესოა ზეთით შესრულებული ტილოები ,,სამყაროს შექმნა,“ — მაღლა ატყორცნილი მუქი მოყვითალო ბურთი, მზის სიმბოლო და მწვანე და ყვითელი ფერების გაბედული შეხამება.ასევე სასიამოვნოდ იკითხება ნატურმორტი ,,მანანა“ და პეიზაჟი ,,წინაპართა სავანე,“ხოლო მხატვრის ავტოპორტრეტში მოჩანს ახალგაზრდა კაცის ძალა, ტემპერამენტი, თავშეკავებული მღელვარება, ნებისყოფა, იმედი, რასაც ამაღლებს ნათელი, ჰაეროვანი ფერების ჰარმონიულობა“.* (გაზეთი ,,ლენინის დროშა,“№67, 4 ივნისი, 1983 წ.)

90-იანი წლებში, იგი ოზურგთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუშაობდა. იყო სცენის მემანქანე, დუბლიორი მსახიობი, სცენოგრაფი - მხატვარ დეკორატორი. ეს ის წლებია, როცა ქვეყანაში უმძიმესი პერიოდი იყო, ჩამოშლილი ეკონომიკით. მეტ-ნაკლებად უჭირდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს წარმომადგენელს . განსაკუთრებით, კი ხელოვან ადამიანებს, და მათ შორის კიდევ მეტად მათ, რომელთაც თავიანთი შემოქმედება, არ დაუნახავთ, ან წარმოუდგენიათ კომერციული თვალსაზრისით. წარმოდგენილი მხატვარიც, ამ პიროვნებათა რიგს შეიძლება მიაკუთვნო.

იხსენებდნენ მისი ნაცნობ-მეგობრები იმ დროს და... დღეს უკვე, ამ პერიოდში არ დაკარგული ადამიანის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ. არაერთი ქარტეხილის მიუხედავად, მან 300-მდე ტილო შექმნა. ტილოზე გადმოიტანა უახლოეს ადამიანთა პორტრეტები, მათი განწყობები, საკუთარი ეზო გარემო, ყოფითი დეტალები თუ ქმედებები. ის საკუთარ თავს უწოდებს განწყობის მხატვარს. რაც კარგადაა ასახული ნახატთა ფერადოვნებას, დეტალებსა და შინაარსში. გვერდს ვერ უვლის დროსა და მის ანარეკლს ყოფით ცხოვრებაში. საინტერესოა თითქოს უხილავი ძაფები მხატვარსა და ნიკალას შორის და ცალკეული დეტალები ნიკალას ცხოვრებიდან. ვხვდებით ტილოებს, სადაც ნახატი ნახატშია წარმოდგენილი. რთულ კომპოზიციებზე არაფერს ვამბობთ. თითქოს მარტივი ნატურმორტი ვაშლები — აქ ის გარჯა იკითხება, ვაშლის მოყვანისთვის რომ არის საჭირო და, გარკვეულწილად ის ჩვეულებაც, ქართველი კაცის მასპინძლობის თანმდევი რომ არის.

გამოფენა ტრადიციულად გახსნა ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** და ისაუბრა მხატვრის შემოქმედებაზე, მისი ხელოვნების სტილსა და ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

*,, — 37 წელია, რაც გალერეა არსებობს, ვალერი მახარაძე, თავისი ნამუშევრებით, ყოველთვის იღებდა მონაწილეობას ჩვენს გამოფენებში. მისი ორი ნამუშევარი ჩვენს ფონდშიც ინახება. ის თვითნასწავლი მხატვარია, მაძიებელი და თავისი ნახატების ეპიზოდებში, თავად პოულობს ინდივიდუალიზმს. აქ თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებაა. თვით ნატურმორტიც კი სრული კომპოზიციითაა წარმოდგენილი. იშვიათობაა ასეთი მრავალფეროვნება ერთი მხატვრის შემოქმედებაში. განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ მის ნამუშევრებში არის ექსპრესიაც და უძინარი სიჩუმეც, სიმშვიდეც. სასიხარულოა, რომ გამოიცა მისი ნამუშევრების კატალოგი.*

**ავთანდილ თავართქილაძე** — სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი: *ვალერი არის კლასიკური მხატვარი, ამ სიტყვის სრული გაგებით. ხატვა მისი ცხოვრების წესია. ხელოვანი ადამიანები ხშირად მიდიან დიდ მეგაპოლისებში და იქ მოღვაწეობენ. ვალერი არის ადამიანი, რომელიც დარჩა ჩვენს პატარა ქალაქში და აქვე აგრძელებს მოღვაწეობას. ხატავს თავის ცხოვრებას, ყველაფერს უდგება სიყვარულით, ყველა ნატურმორტს ან პეიზაჟს აქვს თავისი პოზიცია. ნებისმიერი ნივთის დახატვისას, ნამუშევარში დებს შინაარსს. მისთვის დამახასიათებელია კრეატიულობა, აქ არის საოცარი ესთეტიკა. როცა მხატვარი დარბაზში დარჩება თავის ნამუშევრებთან, მოუწევს დიალოგი მათთან...*

თავის გამოსვლაში უდიდესი მადლიერება გამოხატა ხელოვნების ცენტრის მესვეურთა, დამთვალიერთა მისამართით.

*,,თუ რაიმე ესთეტიკურ სიამოვნებას მოგანიჭებთ ჩემი ნამუშევრები, ე.ი მიზანი მიღწეულია“*

ჩანაწერთა წიგნიდან, — *,,კიდევ ერთი შემოქმედებითი დღესასწაულის მომსწრე იყო საზოგადოება... “*

გამოფენა სკოლის მოსწავლეებმაც დაათვალიერეს, კითხვები დაუსვეს ავტორს, ცალკეულ ნახატთა თემატიკასა და შინაარსზე.

იქვე აღინიშნა, რომ ოზურგეთი ის ქალაქია, სადაც მრავლად არიან წარმოდგენილი ძალიან ნიჭიერი პიროვნებები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში და მათ შორის ერთ-ერთი, სწორედ სახვითი ხელოვნების ცენტრია, რომელიც მხატვართათვის ნავსაყუდელია, და აქ გამართული შეხვედრები თუ გამოფენები, უდიდესი სტიმულია ამ სფეროში წარმოდგენილი ადამიანებისთვის.

ერთი შეხედვით, არავინ უწყის იმ დიალოგის შინაარსი, რომელიც ავთანდილ თავართქილაძის თქმით, მხატვარსა და მის ნამუშევრებს



შორის გაიმართება, თუმცა ყველამ იცის, რომ დიალოგი აუცილებლად შედგება, და არა მხოლოდ მხატვართან, საზოგადოებასთანაც. რადგან თითოეულ მათგანი, როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, მოგვი-თხრობს ამბავს, ფაქტებს, მოვლენებს. ამ დიალოგის არსი კი, აუცილებლად აისახება ვალერი მახარაძის ჯერ კიდევ დაუხატავ ნახატებში. ისიც იცის ყველამ, რომ არასოდეს ყოფილა, და არც ახლა არის ადვილი ხელოვნების გზაზე შედგომა და მერე ამ გზიდან არ გადახვევა. მხატვარმა ეს შესძლო.

**თამაზ დარჩია** — გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: *,,ანრი რუსო მომაგონდა. გავავლე პარალელი და მე მას ვუწოდე პრიმიტიული მანერით შემსრულებელი ინპრესიონისტი მხატვარი. რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ დაინახავს, დაინახავს, ვალერის თვალი.“*

**ვახტანგ მამეიშვილი,** მხატვარი: *—,, ვალერი სრულიად ახალგაზრდა იყო, მაშინ თეტრში მუშაობდა, ერთხელ მოვიდა და მოიტანა სურათი ,,მთვარიანი ღამე“, მაშინ ვუთხარი, ჩვენთან ეთანამშრომლა. მას შემდეგ, ყოველთვის მოჰქონდა ნახატები და თანაც, თანდათან უკეთესი . ის უკვე ძალიან საინტერესო მხატვარია.“*

ღელავდა ბატონი ვალერი თავად.

წარმატებები ბატონ ვალერის.

**ნინო ნიკოლაიშვილი.**

# ნოე ქათამიძის 85 წლის იუბილე აღინიშნა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში მომღერლის, გურული ხალხური სიმღერის დიდოსტატის — **ნოე ქათამიძის** 85 წლის იუბილე აღინიშნა.

ის ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან მღეროდა. 1957 წელს კი თავად ბატონმა ლადიკო ერქომაიშვილმა მიიწვია კულტურის სახლთან არსებულ ეთნოგრაფიულ გუნდში. წლების განმავლობაში იყო ანსამბლების: ,,თხამ ვენახი შეჭამა“ და ,,ელესას“ წევრი, რომლებთან ერთადაც დაიმსახურა არაერთი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატობა. ნოე ქათამიძემ მთელი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა გურულ ხალხურ სიმღერას და დღესაც აგრძელებს ჩვეული შემართებით.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ანსამბლი ,,ვახტანგური“ და ტრიო ,,ხელხვავი“.

# ორი ჩემპიონი ოზურგეთიდან





დამთავრდა ოზურგეთის მუნიციპალური საჭადრაკო ჩემპიონატი 8 და 10 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის.

8 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **ალექსანდრე შევარდნაძემ,** ვერცხლის მედალოსანი გახდა **გაბრიელ სალუქვაძე,** რომელიც ჩემპიონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი **ანდრია ადეიშვილმა** აიღო, რომელმაც ბოლო ტურში მოგებით, ნახევარი ქულით გაუსწრო ამ ადგილის აღების რეალურ კანდიდატს გიორგი ჯანელიძეს.

10 წლამდე ასაკში ჩემპიონი **გაბრიელ ბარამიძე** გახდა, რომელმაც ერთი ყაიმის გარდა ყველა პარტია მოგებით დაასრულა. მეორე ადგილი **ბაქარ მახარაძემ,** რომელმაც დაწინაურება დასკვნითი პარტიების მოგებით შეძლო. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები ერთნაირ ქულიან **გაბრიელ მჟავიას** და **გიორგი სალუქვაძეს** ერგო.

მწვრთნელები: **ნინო წიტაიშვილი, ელგუჯა ურუშაძე.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +12+19 | მზე, ღრუბელი +14+22 | მზე, ღრუბელი +15+24 | მზე, ღრუბელი +7+16 | ღრუბელი +13+20 | წვიმა +152+19 | ღრუბელი +12+19 |
| 30 ოქტომბერი ორშაბათი | 31 ოქტომბერი სამშაბათი | 1 ნოემბერი ოთხშაბათი | 2 ნოემბერი ხუთშაბათი | 3 ნოემბერი- პარასკევი | 4 ნოემბერი შაბათი | 5 ნოემბერი კვირა |